ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 76/3

თბილისი „06." „03." 2013 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ ს/ს „სილქნეტი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის კომერციულ დარგში ნუგზარ ჩინჩალაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) კოჯრის შშმ ბავშვთა სახლის საჭიროებისათვის ინტერნეტ და პროვაიდერული მომსახურების (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი 72400000 - ინტერნეტ მომსახურებები; კლასიფიკატორის (CPV) კოდი შესყიდვის კონკრეტული ობიექტი – 72400000 - ინტერნეტ მომსახურებები, 72410000 - პროვაიდერული მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 640,00 (ექვსასორმოცი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, რაოდენობა, ერთეულის (ერთი თვის ღირებულება) ფასი, საერთო ღირებულება, მიწოდების ადგილი და მიწოდების ვადა მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება კალენდარული თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

6.3 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს, ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განუხრელი დაცვით.
7.1.2 უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შეფერხებები;
7.1.3 გადასცეს შემსყიდველს კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო აპარატურა;
7.1.4 დაიცვას კონფიდენციალურობა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდში.
7.1.5 ქსელის ან ტექნიკური მოწყობილობების დაზიანების შემთხვევაში გამომწვევი მიზეზებისა და მხარეთა ბრალეულობის გარკვევამდე საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას გაუმართაობა.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1 აღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად მიმწოდებელს გამოუყოს ფართი საჭირო აღჭურვილობისათვის და უზრუნველყოს ელექტროენერგიით.
7.2.2 განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა.
7.2.3 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული და მის ტერიტორიაზე დამონტაჟებული აპარატურა ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს მიმწოდებელს.
7.2.4 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.
7.2.5 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.6 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწიბული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 მიმწოდებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისთვის რაც შემსყიდველს შეიძლება მიადგეს შემსყიდველის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან შემსყიდველის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან მიმწოდებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით და თავად შემსყიდველია პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემის დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისგან.
8.3 მიმწოდებელი არ არის ვალდებული შემსყიდველის ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის ოფისში არსებული შიდა ქსელი, დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად დაზიანებიდან გამომდინარე.
8.4 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.4.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.4.2 თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისთვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულისა.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია

წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

14.1.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი/პირები.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან' სამი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #144	
სახელმწიფო ხაზინა	
კოდი #TRESGE22	
ა/ა # GE24NB0330100200165022	
ს/კ # 205169592	
მარინა მესხი დირექტორი	

„მიმწოდებელი“
ს/ს „სილქნეტი”
ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
ს/ს „საქართველოს ბანკი”
კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE41BG0000000878415000
ს/კ № 204566978
ნუგზარ ჩინჩალაძე გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში

დანართი #1

#	ტექნიკური დავალება	რაოდენობა/განზომილება	ერთი თვის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	• კავშირის ტიპი: DSL • გლობალური ინტერნეტ დაშვების სიჩქარე 1/1 მბიტ/წმ • ლოკალური ინტერნეტ დაშვების სიჩქარე 3/3 მბიტ/წმ • უშუალო მენეჯერის კონსულტაცია და ტექნიკური სპეციალისტების დახმარება 24 საათი/7 დღე რეჟიმში • მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დროებით სარგებლობაში შემსყიდველისათვის ყველა საჭირო მოწყობილობის გადაცემა, რომელიც აუცილებელია მომასხურების მიწოდებისათვის, ასევე უნდა უზრუნველყოს ინსტალაციასთან დაკავშირებული მომსახურება. • მიმწოდებელმა ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდში უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა. • ქსელის ან ტექნიკური მოწყობილობების დაზიანების შემთხვევაში გამომწვევი მიზეზებისა და მხარეთა ბრალეულობის გარკვევამდე მიმწოდებელმა საკუთარი რესურსებით უნდა უზრუნველყოს გაუმართაობის აღმოფხვრა. ხოლო პროვაიდერის მიზეზით ინტერნეტის მოწოდების შეფერხება ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.	10 თვე	60,00	600,00	კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი. დ.კოჯორი, რუხაძის ქ. #10	ქსელში ჩართვა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 საათში და მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2	ინსტალაციის ღირებულება			40,00		

„შემსყიდველი“

სსიპ „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

ს/ს „სილქნეტი“

ნუგზარ ჩინჩალაძე
გენერალური დირექტორის
მოადგილე კომერციულ დარგში